საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES

სახორცე-ტყავბეწვეული და დეკორატიული ბოცვრის ჯიშების დახასიათება

(რეკომენდაცია)

თბილისი

2021

UDC უდკ 637.55[1]712 + 637.62
გ - 927

რეკომენდაციის ავტორები:

ჯემალ გუგუშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქეთევან ჭიპაშვილი - წამყვანი სპეციალისტი

რედაქტორი:

ელგუჯა შაფაქიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; სსმმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „აგრო“

ISBN 978-9941-8-3364-9

სახორცე-ტყავბეწვეული და დეკორატიული ბოცვრის ჯიშების დახასიათება

ცნობილია, რომ ყველა ცხოველთა და ფრინველთა ჯიშის წინაპარი გარეული ცხოველი იყო. შინაური ცხოველების ძირითადი სახეობის უმრავლესობა აზიიდან და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან არიან წარმოშობილი. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ხალხის მიგრაციამ აღმოსავლეთიდან დასავლეთში. ადამიანებთან ერთად ხდებოდა ცხოველთა გადაადგილებაც.

ბოცვრის მოშინაურების შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს, თუმცა სხვა ცხოველებთან შედარებით, უფრო გვიან იქნა მოშინაურებული.

ბოცვერი წარმოიშვა გარეული ბოცვერისაგან, მისი მოშინაურება ჩვენს ერამდე პირველ საუკუნეში ესპანეთში მომხდარა.

ბოცვერი გასული საუკუნის ნახევარში ავსტრალიაში და ახალზელანდიაში იყო შემოყვანილი, სადაც მისთვის ხელსაყრელი კლიმატი და ნიადაგობრივი პირობების შედეგად დიდი რაოდენობით სწრაფად ვრცელდებოდა.

ბოცვრის სასოფლო-სამეურნეო ღირებულება მათი პროდუქტიულობით და სანაშენე თვისებებით განისაზღვრება.

ბიოლოგიური თავისებურებებით ბოცვერი მნიშვნელოვნად განსხვავდება კურდღელისაგან. 1. კურდღელი სოროში ცხოვრობს, სადაც მთელ დღეს ატარებს. საკვების საძებნელად ღამით გამოდის, ბოცვერი კი მიწისქვეშ ბინას არასოდეს არ იკეთებს. 2. კურდღელი ბაჭიებს სოროში ყრის თვალებდახუჭულს, ბოცვერი ყრის თვალებ ახელილ ბაჭიებს. 3. კურდღლის მაკეობის ხანგრძლივობა 40-45 დღეა ხოლო ბოცვრის - 28-30 დღე. ბოცვრის ყველა ჯიში სხეულის სიდიდით, ბეწვის შეფერვით, ტყავის ღირსებით და სამეურნეო კლასიფიკაციის მიხედვით იყოფა: მეხორცული - ტყავ-ბეწვეული და სათივთიკე ჯიშებად. აღნიშნულ ჯიშებს ზომისა და წონის მიხედვით მიაკუთვნებენ მსხვილ, საშუალო და წვრილ ჯიშებს.

ფლანდერი - გამოყვანილია ბელგიაში, პროვინცია ფლანდერში. ერთ ერთი-უძველესი ჯიშია, რომელიც მე-16 საუკუნეში წარმოიშვა. ფლანდერი სხვა ევროპული ჯიშებისაგან განსხვავებით მაღალი ცოცხალი მასით და ტანაგებულობით გამოირჩევა. მიღებულია გარეული ბოცვრის, ევროპულ ბოცვერთან შეჯვარების შედეგად. ბოცვრის სხეულის სიგრძე 70-75 სმ-ს შეადგენს, ცოცხალი მასა 7-8 კგ-ს. კარგად განვითარებული გულმკერდი, ბეწვოვანი საფარის შეფერილობა ნაცარა ფერის, იშვიათად შავი და ცისფერი.

ტან-ხორცის მასა 3-5 კგ-მდე აღწევს. ფლანდერი საკმაოდ გვიან მწიფებადი ცხოველია, ახასიათებს კარგად განვითარებული ძვალეული. სრულ ცოცხალ მასას ერთი წლის ასაკში აღწევს. დედალი მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩევა 8-9 ბაჭია. მოზარდი ყველაზე კარგად თბილ კლიმატურ პირობებში იზრდება, ცივ კლიმატურ პირობებში მაღალ ნაყოფიერებას

კარგავს, მამალი ბოცვრების შეჯვარება წვრილ დედლებთან, იძლევა დიდ ცოცხალი მასის ცხოველებს.

ვენური ცისფერი - 1895 წელს გამოყვანილია ავსტრიაში. მორავული ცისფერი ბოცვრის შავ ფლანდერთან შეჯვარების შედეგად. სხეულის სიდიდის მიხედვით ვენური ცისფერი საშუალო ზომისაა, ცოცხალი მასა 3,5-4 კგ-ს შეადგენს. გარდა გემრიელი ხორცისა იძლევა ძვირფას ტყავბეწვეულს, ბეწვოვანი საფარი ხასიათდება სამი შეფერილობით, ღია, მუქი და საშუალო. ჯიშისათვის დამახასიათებელი სტანდარტის მიხედვით ვენურ ცისფერს ახასიათებს 45-50 სმ-სიგრძის ღრმა განიერი გულმკერდი, მუქი ლურჯი თვალები, 13-16 სმ სიგრძის ყურები. ვენურ ცისფერს 6-7 თვის ასაკში აგრილებენ, გამძლეა, გამოირჩევა მაღალი ნაყოფიერებით - 7-8 ბაჭია.

რექსი - რექსის ჯიშის ბოცვერი გამოყვანილია საფრანგეთში 1919 წელს. ბეწვოვანი საფარის მაღალი ღირსებით გამოირჩევა, რომლის ღირსება გამოიხატება იმაში, რომ უხეშ ბეწვსა და თივთიკს ერთნაირი სიგრძე აქვს, რექსის ჯიშის ბეწვოვანი საფარი, ნაზი, ხავერდოვანი და დრეკადობით ხასიათდება სხვა ჯიშებისაგან განსხვავებით. მისი ბეწვის საფარი არაა დაწვენილი და არ ითელება. სხეულის სიგრძე 35-40 სმ, ხოლო ბეწვის საფარველის სიგრძე 3-4 სმ ფარგლებში მერყეობს, ნაყოფიერება 6-7 ბაჭია.

ანგორი - საშუალო სიდიდის ჯიშებს მიეკუთვნება, მისი ცოცხალი მასა 3,0-3,5 კგ-ს უდრის, საშუალო ნაყოფიერება 5-6 ბაჭია. აქვს დაცქვეტილი დიდი ფუნჯიანი ყურები, წითელი თვალები, წვრილი ძვალეული. გრძელი ფეხები თივთიკით დაფარული. მისი თივთიკი აბრეშუმისებრი და მკვრივია. წელიწადში საშუალოდ 130-150 გრ თივთიკს იძლევა მიღებულ ბაჭიებთან ერთად. ზრდასრული დედლისაგან შესაძლებელია 1,8-2,0 კგ თივთიკის მიღება. თივთიკის სიგრძე 8-10 სმ ფარგლებში მერყეობს. თივთიკის შეფერილობა- თეთრი, ზოგჯერ ცისფერი და ნაცარა. ცოცხალი მასა 3,0-3,5 კგ. აქვს საშუალო სიდიდის თავი, წვრილი ძვალეული. კარგად ეგუება, მშრალ კლიმატურ პირობებს, დედალი პირველად შესაძლებელია 7-8 თვის ასაკში დაგრილდეს, აღნიშნულ პერიოდში თივთიკის სიგრძე, სიმაგრე და სიმკვრივე საუკეთესო კონდიციაში იმყოფება.

შინშილა - ამ ბოცვრის ჯიშმა, სახელწოდება სამხრეთ ამერიკის მღრღნელ შინშილასაგან მიიღო, რომელსაც აქვს ძვირფასი, რბილი და ხშირი მოვერცხლისფერო ბეწვოვანი საფარი. შინშილას ჯიშის ტყავი ლამაზი ორიგინალური შეფერილობისაა და მას შეღებვა არ სჭირდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე იგი ძვირფას ჯიშად ითვლება და ევროპის კონტინენტზე მეტ გავრცელებას პოულობს. შინშილას ჯიშის ბოცვრები ერთ-ერთ ძვირფას საბეწვე ჯიშად ითვლება მსოფლიოში. შინშილას საშუალო ცხოცხალი მასა 3-4 კგ-ს ფარგლებში მერყეობს. ჯიშისათვის დამახასიათებელი ბეწვის და ხორცის მაღალ ღირებულებასთან ერთად, ადრეულობით და მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩევა.

დეკორატიული ბოცვრის ჯიშები

დეკორატიულ ბოცვრებად ითვლებიან ისეთი ჯიშის ცხოველები, რომელთაც ოჯახურ პირობებში ინახავენ, ხასიათდებიან დაბალი ცოცხალი მასით 0,5-2 კგ. ეს არის ხალასჯიშიანი ცხოველი, რომელიც თავის სხეულს ისე ილოკავს, როგორც კატა. ბოცვრებში ყოველ სამ თვეში მიმდინარეობს სხეულიდან ბეწვის ცვენა. ამ პერიოდში აუცილებელია მისი ბეწვოვანი საფარის ჩამოვარცხნა. რიგ შემთხვევაში ბოცვრის ტანზე შეინიშნება ქერცლი, რის გამოც ცხოველი ხშირ შემთხვევაში რჩება ბეწვოვანი საფარის გარეშე. ორი კვირის შემდეგ ბეწვი ისევ იწყებს ზრდას. მაკეობის ხანგრძლივობა 28-30 დღე, ნაყოფიერება 4-5 ბაჭია.

გრემლინი - ახასიათებს პატარა ტანაგებულება, რიგ შემთხვევაში ემსგავსება ბავშვის სათამაშოს. მამალ ბოცვრებს ახასიათებთ სიზარმაცე, ხოლო დედლები შედარებით აქტიურები არიან, ხშირად აგრესიულებიც.

სურათი 1. გრემლინი.

პატარა ჰოტოტი - გამოყვანილია გერმანიაში, უყვარს გართობა, არის ნაზი და დამჯერი, თეთრი მკვრივი ბეწვოვანი საფარით, წვრილი და ბზინვარე ბეწვით.

სურათი 2. პატარა ჰოტოტი

ლომისთავისებრი - ახასიათებს გრძელი ბეწვი თავის გარშემო, გამოირჩევა პატარა ტანაგებულებით, ორიგინალური ულვაშები. გვხვდება გრძელ ყურიანი და მოკლე ყურიანი ბოცვრები. გრძელ ყურიანის სხეულის სიგრძე 35 სმ-ია, ხოლო მოკლე ყურიანის 30 სმ.

სურათი 3. ლომისთავისებრი

მინილოპი - გამოყვანილია ნიდერლანდებში, არის თვინიერი ცხოველი, გრძელი, რბილი და ხავერდოვანი, სხვადასხვა შეფერილობის ბეწვოვანი საფარით. ბეწვის საფარი ძირითადად ერთგვაროვანი, რიგ შემთხვევაში გვხდება 2-3 ფეროვანი.

სურათი 4. მინილოპი

გრძელყურიანი პატარა ბოცვერი - ზომით პატარაა კატის მსგავსი. გამძლე ცხოველია. არ რეაგირებს მაღალ ხმას, ძალიან მოსიყვარულეა, მშვიდი, ბავშვებისათვის, რომელთაც არა აქვთ ურთიერთობა სხვა ცხოველებთან გასართობად კარგი ცხოველია.

სურათი 5. გრძელყურიანი პატარა ბოცვერი

პატარა მელა - ავსტრალიაში გამოყვანილი მინიატურული ჯიშია, ცოცხალი მასა 1-1,5 კგ-ს იწონის. ბოცვერს აქვს 2-7 სმ სიგრძის ლამაზი, ხშირი ბეწვოვანი საფარი, ქერა შეფერილობით, უყვარს მოფერება .

სურათი 6. პატარა მელა

სახორცე-ტყავ ბეწვეული ჯიშის ბოცვრები, დეკორატიული ჯიშის ბოცვრებთან შედარებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, ბიოლოგიური ანატომიური და პროდუქტიული მაჩვენებლებით.